



ლიტუ

2024, ივნისი

კათოლიკოსის სამოსის ეპისკოპოსის მიერ გამოცემა
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA





რედაქტორის მიხედვი ... 3-4
პათოლოგიური ეკლესია
მსოფლიოში 5-7
ჩვენი ეკლესია 8-11
სოციალური მიხედვი - Caritas Georgia 12
ჩანართი: I-IV
სოციალური მიხედვი - Inner Georgia 13-14
სპეციალური სისარულის მომენტი 15-16
ინტერვიუ 17-20
პათოლოგური
კულტურის 21
ინფორმაცია 22

ივნისი

- 1** ივნისი - წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში, კახეთის ხიზაბავრის დღეობა
- 7** ივნისი - იესოს ღვთიური გული, ასპინძის ხიზაბავრის დღეობა
- 8** ივნისი - ოჯახების შეხვედრა წეროვანში
- 11-12** ივნისი - მღვდლების შეხვედრა ეპისკოპოსთან ქუთაისში
- 12** ივნისი - წმ. გასპარე ბერტონის ხსენება, სტიგმელ მამათა ზეიმი
- 21-23** ივნისი - ანიმატორების მე-4 შეხვედრა ორპირში
- 24** ივნისი - იოანე ნათლისმცემლის შობა
- 25-26** ივნისი - VII სიმპოზიუმი საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესახებ, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში
- 29** ივნისი - წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულნი, თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის დღეობა, შესაწირი პაპისათვის



2024 წლის 27-30 ივნისი, წეროვანი,
სულიერი შეხვედრების სახლი

ბიბლიური დღეები
მ. პიერ დიუმულენთან ერთად
იოანეს სახარების ირგვლივ - II



ჩასაწერად და ინფორმაციისათვის მიმართეთ
ალექსანდრა (ლალი) მარგველაშვილს

მობ.: (00995) 597 113 825

30ს ეშინია მამწვირვალობის?



გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული, სიტყვა გამჭვირვალობა მოულოდნელად გახდა ძალზე პოპულარული, შევიდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის უმეტესი ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკურ დებატებში, რათა აღნიშნა „სიცხადე“, „გახსნილობა“ და „მონაწილეობა“ სოციალური ცხოვრების დაგეგმვისა და მართვის პროცესში. ამიტომაც ყველა მთავრობა, რომელსაც სურდა ყოფილიყო დემოკრატიული და არა ოლიგარქული, დაუინებით მოიხსოვდა გამჭვირვალობას; გამჭვირვალე მინის შენობები კი ლამის მის სიმბოლოდ იქცა. გორბაჩოვმა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა 1985 წელს, სიტყვა „გლასნოსტი“, „პერესტროიკასთან“ ერთად, თავისი რეფორმული პროგრამის საფუძვლად აქცია, და მრავალ სიტყვას შორის, როგორიცაა: საქართველო, ევროპა, სამშობლო, ერთობა, არა რუსული კანონი... ეს სიტყვა ისევ დომინირებს ამ კვირებში (ან გასულ კვირებში) თბილისში გამართულ დემონსტრაციებზე, გამოსვლებსა და დებატებში: არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობას, როგორც ჩანს, სჭირდება ახალი კანონი, რომელიც მომდინარეობს შორეული რეალობიდან

**მამა გაბრიელე
პრაგბანტინი CSS
მთავარი რედაქტორი**

სტილები;
ეპისკოპის ვიკარიუსი
ეულანგიმისა და კულტურის
დარგში; ქუთაისის,
გათამისა და რზურგეოტის
საკრებულოთა წინამდებრი



და ეხება არასრულად გამჭვირვალე ქვეყნებს; მოდით, დავიფიქრდეთ მიზეზებზე, რის გამოც ამ რაიონებში მიმდინარეობს ომები, კლავენ ადამიანებს, ანადგურებენ ქალაქებს, იპარავენ ბავშვებს „ხელახალი აღზრდის“ მიზნით...

და ეს ყველაფერი რის გამო ხდება? გამჭვირვალობას სთხოვენ საზოგადოების მნიშვნელოვან სექტორს, მაგრამ რეალურად არის კი გამჭვირვალე ის მიზეზი, თუ რატომაც უნდა მიიღონ ეს კანონი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის წინააღმდეგ? და თუ შემდეგ გადავხედავთ ქართული საზოგადოების ამ ნაწილს, გაგვაკვირვებს ის ფაქტი, რომ მის აპსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ ახალგაზრდები და სტუდენტები:

რედაქტორის გვარდი

ამ საზოგადოების ანტყოფა და პერსპექტიული მომავალი; მაგრამ ეს როდი ანალექტის მათ, რომელთაც ამ კანონის გატანა ნებისმიერ ფასად სურთ; როდის შედგება შეხვედრა განსახილველად? დასამალი რომ არაფერი ყოფილიყო, დებატები სხვა შედეგებს მოიტანდა; შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ კანონის მიღების მიზეზები არის არა იმდენად ორგანიზაციების გამჭვირვალობა, რაც სინამდვილეში უკვე შემონმებულია, არამედ სულ სხვა რეალობის დამალვის სურვილი: მაგალითად, არჩევნები, რომელიც მომავალი წლის ოქტომბერში უნდა შედგეს, ძველი კავშირები, რომელიც აუცილებლად უნდა გამყარდეს, ან ქართული საზოგადოების ყველაზე რეალური პრობლემები, რომლებზედაც საუბარი და ფიქრი არ გვინდა; თუნდაც ცხოვრების გაძირება, ემიგრაცია, ჯანდაცვა, ახალგაზრდობა... მოუწოდებენ, რომ დაიცვან ოჯახის სიწმინდე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან წამოსული გარყვნილი იდეოლოგიებისაგან; მაგრამ, ოჯახის სიწმინდის დაცვა რომ ნამდვილად გულიდან მოდიოდეს, იქვე უნდა ვსაუბრობდეთ ღირსეულ ხელფასზე, რეალურ სამუშაოზე საკუთარ ქვეყანაში, წყვილისა და ოჯახის ცხოვრებაზე,

განქორნინებაზე, აბორტზე, სუროგაციაზე, ნარკოტიკებზე, კაზინოებზე, რასთანაც შეხება უწევს მრავალ ოჯახს...

მათ, რომლებიც სხვებს მოუწოდებენ გამჭვირვალობისაკენ, არ უნდა ეშინოდეთ, რომ თავად იყვნენ გამჭვირვალენი თავიანთი შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშში, ისეთი კანონების შედენისას, რაც ნაკლებად ეფუძნება გამოცდილებას, თუნდაც პარტიების, საავადმყოფოების, ბანკების, კომპანიების, მშენებლობის... და რატომაც არა, რელიგიური ინსტიტუტების; გამჭვირვალობას არანაკლებ სჭირდება, რომ თავად „გახდეს“ გამჭვირვალე, მკაფიო, დამაჯერებელი, თანმიმდევრული... ალბათ ამ მიზეზით ამტკიცებდა ფრონდი, რომელიც ნიცშეს მოსაზრებას ითვალისწინებდა, რომ გამჭვირვალობა, აბსოლუტური გაგებით, მიუღწეველი ღირებულება იყო. იესომ ნიკოლემესათან საუბარში განაცხადა: მხოლოდ „ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის“ (იოან. 3, 21), ხოლო პლატონმა ორ ათას-წლეულზე მეტი ხნის წინ აღნიშნა: „შეგვიძლია ვაპატიოთ ბავშვს, როცა მას სიბნელის ეშინია, მაგრამ ცხოვრების ნამდვილი ტრაგედიაა, როცა ადამიანს ეშინია სინათლის“.



პათოლიკური ეკლესია მსოფლიოში ააა გაპრივალუ პრაგატიცინი



წმინდა 2025 წელი

პაპი ფრანცისკე ა.წ. 24 დეკემბერს საზეიმოდ გახსნის წმ. პეტრეს ტაძრის წმინდა კარს და 2026 წლის 6 იანვარს დახურავს. სწორედ ეს ორი თარიღი იქნება 2025 წლის რიგითი იუბილეს დასაწყისი და დასასრული. საიუბილეო წლის თემაა „იმედის მომლოცველები“. ამას აუწყებს პაპის ბულა *Spes non confundit* (იმედი არ გაცრუვდება), რომელიც გასული წლის 9 მაისს, უფლის ამაღლების მეორე მწუხრის დასაწყისს, გადაეცა ხუთი კონტინენტის წარმომადგენლებს.


რომის სხვა წმინდა კარი გაიხსნება 2024 წლის 29 დეკემბერს პაპის საკათედრო ტაძარში *San Giovanni in Laterano*; 2025 წლის 1-ელ იანვარს - *Santa Maria Maggiore*-ში და ბოლოს, 5 იანვარს, კვირას, - *San Paolo fuori le Mura*-ში (წმ. პავლეს ბაზილიკა გალავანს მიღმა). პაპმა ასევე განაცხადა თავისი განზრავა, რომ გახსნას წმინდა კარი ციხეში და მოითხოვოს ვალის ჩამონერა იმ ერებისათვის, რომლებიც მათ დაფარვას ვერ ახერხებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ არ განმეორდება ის, რაც მოწყალების საგანგებო იუბილესთან დაკავშირებით იქნა დადგენილი, ანუ წმინდა კარის გახსნა ყველა ეპარქიაში. თუმცა პაპის ბულა ითვალისწინებს, რომ კვირას, 2024 წლის 29 დეკემბერს, ყველა საკათედრო ტაძარსა და თანაკათედრალში „ეპარქიის ეპისკოპოსები აღნიშნავენ“ წმინდა ევქარისტიას, როგორც საიუბილეო წლის საზეიმო გახსნას, იმ რიტუალის მიხედვით, რომელიც მომზადდება ამ შემთხვევასთან დაკავშირებით. დაე, ეკლესიიდან საკათედრო ტაძარში მომლოცველობა გახდეს ნიშანი ლვთის სიტყვით განათებული იმედის გზისა, რომელიც გააერთიანებს მორწმუნებებს“. ადგილობრივ ეკლესიებში იუბილე დასრულდება კვირადღეს, 2025 წლის 28 დეკემბერს. ამ მოვლენას პაპი უყურებს რო-

გორც გაგრძელებას გზისა, რომელიც დაიწყო მოწყალების იუბილეთი, 2015-2016 წლებში, და რომელიც გაგრძელდება 2033 წელს, როდესაც აღინიშნება გამოსყიდვის ორიათასწლოვანი იუბილე. ბუნებრივია, ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოახლოებული წმიდა წელი ემთხვევა ნიკეის კრების 1700 წლის იუბილეს, რასაც ეკუმენური ფუნქცია აქვს (მომავალ წელს აღდგომას ყველა ქრისტიანი ერთსა და იმავე დღეს აღნიშნავს).

უნინარესად, პაპი ყურადღებას ამახვილებს იმ აუცილებლობაზე, რომ არ უნდა დავკარგოთ იმედი იმ დროს, როდესაც „ხშირად ვხვდებით იმედგაცრუუბულ ადამიანებს, რომლებიც მომავალს სკეპტიციზმითა და პესიმიზმით უყურებენ, თითქოს მათ ველარაფერი მოუტანს ბედნიერებას“. ამიტომ აუცილებელია, წერს იგი: „ყურადღება მიაქციონ ყველა იმ სიკეთეს, რაც მსოფლიოშია, რათა არ აცდუნონ იმაზე ფიქრმა, რომ ბოროტებამ და ძალადობამ ისინი გაანადგურა“. დროის ნიშნები, არსებითად, „ითხოვენ იმედის ნიშნებად გარდაქმნას“. დაბოლოს, პაპის ბულა განმარტავს ინდულგენციის მნიშვნელობას, მოგვიწოდებს მიტევებისაკენ და ადასტურებს მოწყალების მისიონერების მსახურებას, რომელიც წინა საგანგებო იუბილეზე დაწესდა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა ამის საჭიროება. „ამიტომ შემდეგი იუბილე, - დასძენს პაპი, - იქნება წმინდა წელი, რომელიც ხსაათდება ჩაუმქრალი იმედით, რომ ღმერთი დაგვეხმარება, კვლავ მოვიპოვოთ ნდობა როგორც ეკლესიისა, ისე საზოგადოებისა, პირად და საერთაშორისო ურთიერთობებში, თითოეული ადამიანის ღირსების წარმოჩენასა და ქმნილებათა მიმართ პატივისცემაში“.

ჰაიდარ უნივერსიტეტის რექტორად ერისთანი ქალი დაბირნენა

მუნა მარუნი ლიბანური წარმოშობის მარონიტი კათოლიკეა. აქამდე ისრაელის ჰაიდარ უნივერსიტეტის რექტორად არც არაბი, არც ქრისტიანი და არც ქალი აურჩევიათ. „ჩემი არჩევა იმის ნიშანია, რომ ისრაელის მეცნიერულ წრეებში ყველაფერია შესაძლებელი. ჩვენ, ქრისტიანებს, ნამდვილად მოგვეცა აქ დამკვიდრების შესაძლებლობა და ყველა გზა ჩვენთვის ხსნილია. ეს კეთილი ნიშანია ახალგაზრდა არაბებისთვისაც: ეჭვგარეშეა, რომ ისრაელში თქვენ წარმატების მიღწევა შეგიძლიათ“, - აღნიშნა მუნა მარუნმა. მარუნი ცნობილი ნეირობიოლოგი და პოსტტრაექტული სტრუსული აშლილობის სპეციალისტია. 20 წლის განმავლობაში იგი უნივერსიტეტში ასწავლიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში უძლვებოდა ნეირობიოლოგიის კათედრას, იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.



გალილეიდან. „არ შეიძლებოდა, რომ არ მოვსულიყავით. ჩვენ ხომ მხოლოდ ამ დღეს შეგვიძლია ღვთისმსახურება ამ ადგილას“, - აღნიშნა ერთერთმა მომღლოცველმა, სამია აბუ სინიმ, რომელიც ნაზარეში, წმიდა ვენსან დე პოლის გულმონ्य-ალების დების საავადმყოფოში მსახურებს.


კარდინალი პიშაბალა ლაზას სესტორში ჩავიდა

15 მაისს იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქი, კარდინალი პიცაბატისტა პიცაბალა ღაზას სექტორში მდებარე წმიდა ოჯახის სამრევლოს ეწვია. „აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩვენი ძმები მომენახულებინა და მათვის თანადგომა გამომეხატა, საკუთარი თვალით მენახა, რა პირობებში ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობა“, - აღნიშნა მღვდელმთავარმა. კარდინალთან ერთად, ღაზას სექტორს მალტის სუვერენული ორდენის დიდი ჰოსპიტალიერი (განაგებს ორდენის ჰუმანიტარულ და საქველმოქმედო საქმიანობას და საერთაშორისო ურთიერთობებს), ფრა ალესანდრო დე ფრანცისკისი ეწვია. „ამ ვიზიტით დაინტერიერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს და მალტის სუვერენული ორდენის ერთობლივი ჰუმანიტარული მისიის პირველი ეტაპი. მისიის მიზანია საკვები

ამაღლების დღესასწაული იერუსალიმში

8 მაისს, უფლის ამაღლების დღესასწაულის დამეგს, კათოლიკე მორწმუნები ელეონის მთაზე ავიდნენ. ეს ერთადერთი დღეა წელიწადში, როცა მათ ამაღლების სამლოცველოში წმიდა წირვის აღვლენის უფლება აქვთ. ბოლო თვეების განმავლობაში იერუსალიმის მომღლოცველთა რიცხვი, ცხადია, საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ ამ დღეს ქვეყანაში მცხოვრები კათოლიკე მორწმუნები უფლის ჯვარცმისა და ამაღლების ადგილისაკენ გამოემართნენ, განსაკუთრებით, ნაზარეთიდან და

პათოლიკა ეკლესია მსოფლიოში რუსუდაც ავალიგვილი



პროდუქტებითა და მედიკამენტებით ღაზას სექტორის მოსახლეობის „უზრუნველყოფა“, - ნათევამია იერუსალიმის კათოლიკური საპატრიარქოს პრეს-რელიზში.

უწიდესმა ფრანცისკემ რუსეთისა და უკრაინის ხელისუფალთ ტყვევის მაცვლისაკან მოუწოდა

„ახლახან ამაღლების დღესასწაული ვიზეიმეთ. მკვდრეთით აღმდგარმა უფალმა ყოველ ჩვენგანს თავისუფლება მიანიჭა. ამიტომ კვლავ მოვუწოდებ რუსეთსა და უკრაინას შორის ტყვეების სრული გაცვლისაკენ. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ

წმიდა საყდარი მზადაა ხელი შეუწყოს ამ პროცესს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი მძიმედ დაჭრილ და დაავადებულ ტყვეებს ეხება. მოდით, კვლავ ვილოცოთ იმისთვის, რომ უკრაინაში, პალესტინაში, ისრაელში, მიანმაში მშვიდობამ დაისადგუროს“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა 12 მაისს, წირვის დასასრულს.

ბავშვთა პირველი მსოფლიო დღე

წმიდა საყდრის პროგნოზით, ბავშვთა პირველი მსოფლიო დღის აღსანიშნავად 25-26 მაისს რომის ოლიმპიურ სტადიონზე სამოცდაათი ათასი ბავშვი შეიკრიბება. დღესასწაულში მონაწილეობის სურვილი ასზე მეტი ქვეყნის ათასობით ოჯახმა გამოთქვა. კულტურისა და განათლების დიკასტერის პრეზენტმა, კარდინალმა ხოსე ტოლენტინო დე მენდოსამ აღნიშნა, რომ სა-



ორგანიზაციის კომიტეტმა ბევრი გასართობი ღონისძიება დაგეგმა: მოეწყობა სხვადასხვა თამაში, გაიმართება კონცერტები. თუმცა თავისი არსით ეს დღე კათოლიკე იჯახების თავშეყრაა. „ბავშვები იესოს შეხვდებიან და სახარების სიხარულს განიცდიან. მოზრდილები კი იმით იხარებენ, რომ მათი შვილების ცხოვრებაში სახარება ჩაიღვრება“, - აღნიშნა მღვდელმთავარმა. ბავშვთა პირველი მსოფლიო დღე 25 მაისს ოლიმპიურ სტადიონზე გაიხსნება. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერლები და მსახიობები. გაიმართება ხანძოელე საფეხბურთო მატჩი: ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, ეთამაშონ იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავებს, მათ შორის, ლეგენდარულ მეკარეს, ჯანლუკიჯი ბუფონს.





როცხ ლოცვას მიპრძალავენ - ბუზმარეთის ტაძარი და „ჩუმი“ პროვოკაციები

...ძალიან დავიღალე იმით, რომ ყოველ ამაღლების დღესასწაულზე (და არა მხოლოდ) ვიღაც „ზეგანათლებულ ქართველ ვაშ'კაცებთან“ კათოლიკებს სულ გვინწვეს მტკიცება, რომ ქრისტიანები ვართ! რომ ქართველი კათოლიკები იმაზე მეტად პატრიოტები ვართ, ვყოფილვართ და ვიქნებით, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია! რომ ტაძრებში, რომელთა არსებობაც მესხეთში მოსულმა მართლმადიდებლებმა ახლა გაიგეს, ქართველი კათოლიკები საუკუნეების მანძილზე ვლოცულობდით! ვაშენებდით, ვუვლიდით და არასდროს მიგვიტოვებია!

დღესაც ამაღლებაა და დღესაც იგივე განმეორდა, რაც გასულ წლებში. ყოველ წელს მგონია, რომ „გაიზრდებოდა“ საზოგადოება, რამე ახალს შეიცნობდა, მაგრამ იმავე წრეზე ვბრუნავთ. არ მინდოდა ამაზე წერა - გარემო ისეთია, რომ უნდა დაწერო! არ მინდოდა გაბრაზება - გარემო ისეთია, რომ ვერ ვმშვიდდები! ...

დღის 8.00 საათზე გავედით არლიდან ბუზმარეთისაკენ. 10 კილომეტრი ფეხით უნდა იარო ერთი გზა და უკანვე დაბრუნდე... „სავარდის“ ლოცვით წავედით, როგორც ჩვენმა წინაპრებმა გვასწავლეს და გვაჩვენეს. 10.00 საათზე უკვე საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან ვიყავით. დავინახე მანქანებით მოდის ხალხი, ჩანს დიდი „ურალიც“, ძარაზე მდგარი კაცებით. მგონია, რომ კათოლიკე მრევლია. ფოტოც გადავიღე. ცოტა ხანში საშვის ასაღებად შევედი და უკან მომყვნენ ეს „ურალის“ კაცები, ალკოჰოლის სუნით გაუღენთილები. საიდან ხართო, ერთმა ჰკითხა. ფხეროდანო, - უპასუხეს, სოფელია აღიგენში, სადაც კათოლიკები არ ცხოვრობენ. საშვი ავიღე და გამოვედი. უცებ მესმის:

- მამაო, თქვენ არლელი ხართ, ხო?
- დიახ.
- რა გვარის კაცი ხართ?
- ჩილინგარაშვილი.

ჩვენი ეკლესია თავო ფეირიშვილი

- მე ბალდოშვილი ვარ, ბოლაჯურიდან (ადიგენის კიდევ ერთი სოფელი, სადაც კათოლიკები არ ცხოვრობენ), ისტორია კარგად ვიცი და მერე რაღაცაზე უნდა გველაპარაკო.
- კარგი, წირვის მერე...
- ახლა წირვის ჩატარება გინდათ ზევით?
- დიახ.
- მერე ეგ რომ მართლმადიდებლური წიალის ეკლესია? მანდ მარტო მართლმადიდებლური წირვა უნდა ჩატარდეს.
- როგორ არის მართლმადიდებლური?
- მე-5 საუკუნის ეკლესია. კათოლიკები 1054 წელს „გამოყავით“ ქრისტიანობას...

... და მერე ვბრაზობ, რომ ეს კაცი სხვა რამისთვისაა მოსული, ესეც და ის „ურალზე“ შემომსხდარი ნასვამებიც. თანაც ან გაასულელეს, ან სულელები არიან. ჩემი მსგავსი რეაცია აქვს სხვასაც.

- რას მოუყვანიათ ეს ერთი „ურალი“ ხალხი? თუ ჩვენთან ერთად უნდა იზემონ, მოვიდნენ, და თუ არა, რას პროვოკატორობენ?

ამის გაგონებაზე სასაზღვრო პოლიცია უახლოვდება ბალდოშვილს და მიუთითებს, რომ დამშვიდეს.

გავიარეთ კიდევ ერთსაათიანი გზა სასაზღვრო ზოლში. მთელ გზაზე რომ დაჭრილი, ძირში დატეხილი ფიჭვები ეყარა — ეგ კიდევ სხვა ამბავია. ავედით ტაძართან და პოლიციამ ისევ გვერდითა შესასვლელზე მიგვითითა, მთავარი შესასვლელიდან ვერ შეხვალთო. კარგი, მოვიარეთ და გვერდიდან შევედით. ეკლესიაში როგორც კი შევედი, ის მოჩხუბარი მართლმადიდებელი მღვდელი დავინახე, შარშან რომ „ტოებით“ გველაპარაკა. ახლა შიგნიდან აკონტროლებდა ხალხს...

გამოვედი ტაძრიდან, გავიარე ეზო, გავედი გარეთ და შარშან სადაც წირვა აღევლინა, იქ ფიჭვის ნედლი ტოტების ზვინი დამხვდა (ტყე რომ შვილებს უნდა შეუწინო და მისი გაკაფვა დანაშაულია — ეგ არა უშავს). ფიჭვის ზვინის გვერდით დავდგით საკურთხ-

ეველი, სხვა ადგილი არ იყო. ცოტა ხანში პოლიციელი მოგვადგა. უი, მამაო, აქ მართლმადიდებელი მღვდელი და მრევლი მოდისო და ხელს შეუშლით შესვლაშიო, მთავარ შესასვლელს კეტავთო.

- ...და ჩვენ ხომ გვერდითა შესასვლელიდან შევედით?! ისინი რატომ არ შედიან იქიდან-მეტეი?

- ეს მაგათი ტაძარიაო და რა ვქნაო, აი, ჩემს მანქანას გავიყვან და აქ ჩატარეთო, - ამანაც...


... გვერდით გადავიტანეთ საკურთხეველი, ამასობაში, უდის მართლმადიდებელი მღვდელი და სხვანი მოვიდნენ მანქანებით, მთავარი შესასვლელი გაიღო მათვის...

მერე წირვა დავიწყეთ ღობის ძირში. ღობის აქეთ ჩვენი მღვდელი სიყვარულზე ქადაგებდა, ღობის იქით დიდი ძალლი იყო დაბმული და ყეფდა. იყეფებდა, აბა რა, ანაფორიანი კაცი მის წინ დადიოდა, რაღაცას ახმაურებდა და აინუნშიც არ აგდებდა, რომ მასავით სასულიერო პირები იმ დროს ადიდებდნენ იმავე ღმერთს, რომლისთვისაც თვითონაც უნდა ეთხოვა რამე...

ვინმე იტყვის: „კაი რა, ეს რა დასაწერიაო“, მაგრამ არის! ხალხო, არიის! და-ვი-ღა-ლეთ ასეთი ქცევებით, ჩუმი პროვოკაციებით; ვილაცების მოგზავნებით; კუნთმაგარი, მთვრალი ხალხის მობილიზებებით; დავებით ტაძრებზე! შენობაა, და შენობა არაფერია ღვთისა და სიყვარულის გარეშე! და თუ სიყვარული არ არის, არც ღმერთია იქ. თუ ასეთი მეთოდები გჭირდებათ თავის გასატანად - რანაირი ქრისტიანობაა, ვერ ვიგებ! პოლიციით რომ დგახარ კართან და თვალებს აბრიალებ, რომ „შენი ქმა“ არ შეუშვა ღვთის სახლში - რაის ქრისტიანობაა? რომ არც იცი და არც კითხულობ, არც სწავლობ და მარტო ბოდვების გჯერა, რომ შენ გარდა ქრისტიანი არ არსებობს, რომ თურმე ‘ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ ამ „მწვალებელი კათოლიკების“ წინააღმდეგ’ - რაის ქრისტიანობა და, საერთოდ, რაის ადამიანობაა... რავი...



მომლოცველობა ლურდი



ადამიანი ამქვეყნად ბედნიერებასა და სიხარულს ეძიებს. ღმერთმა ხომ ის საუკუნო ბედნიერებისათვის შექმნა. გვსურს, რომ ამ წუთისოფელშიც ბევრი სასიხარულო მოვლენის მომსწრები გაეხდეთ, ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენას დავუკავშიროთ ის სიხარული, რაც წარუშლელად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში...

გვინდოდა სწორედ ჩვენი ჯვრისწერის თარიღისთვის, ე.წ. ვერცხლის ქორნილისთვის, დაგვემთხვია (თუმცა ორი წლით დავიგვიანეთ!) ეს მომლოცველობა, რომელიც თითქოს ჩვენი ძალისხმევის გარეშე ინება ღმერთმა. ადრეც გვიმოგზაურია ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილებში და ყოველთვის განსაკუთრებული განცდა გვეუფლებოდა. სასიხარულოა წმიდა მარიამთან შეხვედრა, იქნება ეს ჩვენს ტაძრებსა თუ ჩვენსაცე გულში; დედა ღვთისმშობელი მუდამ გველოდება და ამჯერად მას ლურდში ვესტუმრეთ. ყველამ იცის ალბათ ისტორია, თუ როგორ გამოცხადა წმიდა ბერნადეტას ქალწული მარიამი, იციან ქართველ კათოლიკეთა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ლურდის ღვთისმშობლის მიმართ, რომლის ქანდაკებები და ხატები ამშვენებს ჩვენს ეკლესიებს. მრავალ მორჩმუნეს განუცდია მისი შენევნა და ძალა! მის კურთხეულ წყალს განუწმედია ჩვენი სხეული და წარუხოცავს ცოდვები, რათა სუფთა გულით მივსულიყავით ღმერთთან, მის ძესთან!

სულიერი მზადება მატარებლით მგზავრობის დროსაც გავაგრძელეთ. მივდივართ განსაკუთრებულ მასპინძელთან და განწყობაც შესაბამისი გვაქვს, ვიცით, ყველაფერი ისე ემთხვევა, თითქოს „ვიღაც“ ჩვენს ნაცვლად რაღაცას აგვარებს. დავპინავდით თუ არა, შევუდექით მზადებას ღვთისმშობელთან შესახვედრად და თითქოს სიმბოლური იყო გაცნობა ნადიასი, ასაკოვანი, 90 წელს გადაცილებული ქალბატონისა, რომელიც თავად გაგვიძლვა ტაძრისაკენ მიმავალ „მოკლე“ გზაზე, სასაფლაოს გავლით. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჭურჭელი შემოგვთავაზა ლურდის წყლის ასაღებად! დიდი იმედი მოგვცა და ეკლესიასთან დაგვემშვიდობა; კიდევ ერთხელ შეგვახსენა „მოკლე გზა“.

ტაძრის მისასვლელთან ზღვა ხალხის ნაკადი მიედინებოდა, სახეზე ყველას რწმენა, იმედი და სიხარული აღბეჭდვოდა, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს. ყველანი ერთად ვუახლოვდებით გამოცხადების ადგილს, იმ წმიდა კლდეს, საიდანაც მოჩუქჩუხებს წმიდა წყალი და ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკება გადმოგყურებს. ყოველი მხრიდან, ყველა ენაზე გაისმის ლოცვა „გიხაროდე“...! მწყობრი რიგით გარს ვუვლით კლდეს და მასზე ხელის შეხებით წმიდა მარიამის სიახლოვეს ვგრძნობთ... ეს ჩვენი მომლოცველობის ეპიცენტრია! სწორედ ამ კლდესთან გამოცხადა დედა ღვთისმშობელი ბერნადეტას.

ჩვენი ეკლესია გიორგი ცხოველიძე

ვუერთდებით ევქარისტიის პროცესიას, რომელიც გარს უვლის ტაძარს, ჩვენდა სასიხარულოდ, მას მიუძღვებოდა ვერონის ეპისკოპოსი თავის ურიცხვ მრევლთან ერთად. ყოველი წელი ძალზე ამაღლვებელი იყო, იქნებოდა ეს იქ მდებარე ტაძრებში წირვაში მონაწილეობა, თუ ლამის სიბნელეში ჩირალდნებით ხელში სავარდის პროცესია, გაბრწყინებული ღვთისმშობლის ქანდაკების თანხლებით!...

მთავარ ტაძარში, სადაც მის კედლებზე მრავალი ადამიანის სახელია ამოტვიფრული, ქართულ კვალ-საც ვეძებთ... რადგან, სანამ ამ მომლოცველობაში გავემგზავრებოდით, ჩვენი მრევლის ერთმა წევრმა მოგვაწოდა ინფორმაცია ზუბალაშვილების მიერ ამ ტაძარში დადგმული საკურთხევლის შესახებ. ზუბალაშვილების ფართომასშტაბიანი ქველმოქმედება და მათი ღრმა რჩმენა კარგადაა ცნობილი „საბას“ ერთგული მკითხველისათვის, ძმების მოღვაწეობის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული საფრანგეთში ქალაქ ლურდის სავარდის ღვთისმშობლის ბაზილიკასა და იქ არსებულ მღვიმესთან. 1894 წელს გარდაიცვალა კონსტანტინე ზუბალაშვილის მეუღლე ელისაბედ თუმანიშვილი. მისი ხსოვნის პატივსაცემად ოჯამა 1897 წელს ლურდის ზემოხსენებულ ტაძარში დადგა საკურთხეველი - მწუხრის საიდუმლო „ქრისტეს ურვა გეთსიმანიაჲში“, ფრანგი არქიტექტორის ლაგრამპის პროექტით. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ საჯაროდ ითქვა სტეფანე ზუბალაშვილის დაკრძალვის დღესაც. საკურთხევლის ფოტოასლი 2001 წელს საჩუქრად გადასცეს ზუბალაშვილების მემკვიდრეს, ქალბატონ ანასტასიას. ეს ფაქტი დაწვრილებით არის აღნერილი ქალბატონ უუჯუნა ფეიქრიშვილის წიგნში „ზუბალაშვილების ცხოვრება - გზა სიკეთის მსახურებისა“ (2019 წ.).

ხანმოკლე ძიების შემდეგ ცენტრალური აფსიდის მარცხნივ დავინახეთ საკურთხეველი და ულამაზესი, მოზაიკით შესრულებული ნამუშევარი. ვინაიდან მომლოცველთათვის საკურთხევლის ეს მხარე მიუწვდომელია, ტაძრის მსახურის ნებართვით, შევედით იქ თაყვანისცემისათვის. ასე რომ, ჩვენ, ქართველ კათოლიკებს, საკურთხეველი გვაქვს ამ წმიდა ადგილას, ლურდში.

ლურდის ღვთისმშობლის დიდ სავანეში გავემგზავრეთ იმ სიყვარულით, რომელიც წლებმა შეკრა გვირგვინად და მასთან მიახლების სურვილით. ღვთისმშობელო მარიამ, რწმენით შეგყურებს ამდენი ხალხი, ელის სასწაულს შენი ხილვისას; რწმენა, იმედი და სიყვარული გვიბოძე უხვად ამ წუთისოფლად. დასაბამიდან ღვთისაგან ქმნილი, რა ლამაზია ეს არემარე, თუ სიყვარულის თვალებით ვუმზერთ, ჩვენ გავოცდებით ყოველ ადგილას, სადაც კი შენი სუფევს სინათლე!



საქართველოს კარიტასის მანაცხადება



საქართველოს კარიტასი
CARITAS GEORGIA

საქართველოს კარიტასი არასდროს ყოფილა „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი“ ორგანიზაცია! საქართველოს კარიტასი, კათოლიკე ეკლესიის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდი, 30 წლია ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენებს. საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ინიცირებული კანონპროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონად მიღება, მომსახურების მიღმა დატოვებს მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება!

საქართველოს კარიტასი წლების განმავლობაში, მეტნილად ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული დაფინანსებით, ზრუნავს მშობლების მზრუნველობას მოკლებულ და მიუსაფარ ბავშვებზე, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ და უსახლკარო ადამიანებზე, მარტოხელა მოხუცებზე, შშმ პირებზე,

შინმოვლის მწოლიარე ადამიანებზე, ძალადობის მსხვერპლ და მარტოხელა დედებზე, ნებაყოფლობით დაბრუნებულ მიგრანტებზე... ჩვენი პროექტების/მომსახურებების საშუალებით ბენეფიციარებს უზრუნველყოფთ უსაფრთხო თავშესაფრით, სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებებით (კვება, ჯანმრთელობა, საყოფაცხოვრებო საჭიროებები), განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობით. გარდა მოწყვლადი ინდივიდების უშუალო დახმარებისა, წლების განმავლობაში ვზრუნავთ სოფლის თემების განვითარებასა და გაძლიერებაზე. მყისიერად ვრეაგირებთ ბუნებრივი და ადამიანური კონფლიქტებით გამოწვეულ კატასტროფებზე.

საქართველოს კარიტასის ყოველწლიური ანგარიშები, მათ შორის, ინფორმაცია ჩვენი დონორი ორგანიზაციების და მათ მიერ გაღებული შემონირულობებისა თუ გრანტების რაოდენობის შესახებ, იტვირთება ჩვენს ვებგვერდზე (<https://caritas.ge/media>) და ზიარდება სოციალურ მედიაში. ამავე პლატფორმებზე ხელმისაწვდომია ყოველწლიური აუდიტის ანგარიშები. ორგანიზაციის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია ქვეყანაში არსებული სავალდებულო რეგულაციებით. ასევე, საქართველოს კარიტასის პარტნიორი ორგანიზაციების ინტერესია ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სანდოობის მაღალი სტანდარტები, რაც გამორიცხავს დაფინანსების მიმღები ორგანიზაციის მხრიდან სარისკო ქმედებების ჩადენის შესაძლებლობას. გარდა ამისა, უცხოური დონორი ორგანიზაციების მიერ განეული დახმარებების და დაფინანსებული პროექტების შესახებ (პროექტის აღწერა, დონორი, განმახორციელებელი სუბიექტი, მიმღები, წლიური ხარჯები და სხვა) ინფორმაცია მოცემულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მართულ ვებგვერდზე, საგარეო დახმარებების ინფორმაციული მართვის სისტემაში (<https://eaims.ge/>).

სამხრეთის სიხრული ვიტრუშების შეძილება



ხშირად, როდესაც კათოლიკურ ეკლესიაში შევდივართ, ჩვენს მზე-ერას მაშინვე იპყრობს ვიტრაჟებიდან შემოსული ფერადი შუქი. ვუყურებთ მათ, მაგრამ არ ვიცით მათი ისტორია, მათი მნიშვნელობა, თუმცა გვხიბლავს ის იდუმალი ატმოსფერო, რასაც ისინი ქმნიან ამ წმიდა ადგილას: **თბილი და გასხვოსნებული ატმოსფერო.** თითქოს ფერთა ხანძარია!

ვიტრაჟების ისტორია

მიუხედავად იმისა, რომ ფერადი ვიტრაჟების შესახებ ცნობები IX საუკუნით თარიღდება, ასევე მოგვეპოვება რომანული პერიოდის სადა და შედარებით მარტივი ვიტრაჟული კომპოზიციები. ხელოვნების ამ ფორმის აყვავება, შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნეში დაიწყო, საფრანგეთიდან და ჩრდილოეთ ევროპიდან გოთიკური ტაძრების გამოჩენით. ეს უზარმაზარი ქვის ნაგებობები,

პირამიდებისა და კოლიზეუმის დროიდან აღმართულ უდიდეს შენობებს შორის, გამიზნული იყო იმისათვის, რომ მთელი ქალაქის მოსახლეობა მიეღო თავის სივრცეში, ზოგ შემთხვევაში ათი ათასამდე მორნმუნეც კი. ამ არქიტექტურისათვის დამახასიათებელი იყო შედარებით გამარტივებული კონსტრუქცია, ე.წ. „კარკასული სისტემა“, რომელიც ახდენდა ქვის წყობის სიმძიმის განტვირთვას და ეკლესიას სიმაღლეში ზრდის შესაძლებლობას აძლევდა: ზოგჯერ ინტერიერის სიმაღლე 27-დან 46 მეტრამდეც ადიოდა, ფართო სარკმლები კი სიმსუბუქისა და ბრწყინვალების სიმბოლო იყო.

ეს გახლდათ დიდი სამეცნიერო და სახელოვნებო კვლევის პერიოდი სინათლის სფეროში (გავიხსენოთ ინგლისელი ეპისკოპოსის, რობერტ გროსეტესტეს ტრაქტატი სინათლეზე - De luce), სინათლემ

სიმბოლური დატვირთვა შეიძინა ნეოპლატონურ ფილოსოფიასა და ავგუსტინესეული სულიერების სრულყოფილ სინთეზშიც: ის იყო ღმერთის არსებობის მიწიერი სიმბოლო და, სხვა სუბსტანციისაგან განსხვავებით, ღვთის დარად შეეძლო სხეულის გამსჭალვა, ღვთაებრივის გამომხატველობა, საპირისპიროდ ბნელი მატერიისა, რომელიც ცოდვის სიმბოლოდ აღიქმებოდა. **სინათლე**, ყოველი მშვენიერების პრინციპი, ღმერთის სამყოფელზე მეტყველებდა, ამიტომაც უნდა ყოფილიყო გოთიკური ტაძარი ისეთივე ნათელი და კაშკაშა, როგორც სამოთხე, ხოლო სარკმლები რაც შეიძლება დიდი უნდა ჰქონდა.

სვეტებისა და კამარების რთულ სისტემაში სარკმლები ეკლესიების მთელ პერიმეტრზე და, განსაკუთრებით, კედელზე, საკურთხევლის უკან იყო განთავსებული. ისინი ირეკლავდნენ გარედან შე-

საგანგებო ჩანართი



კატალონიური მუსიკის სასახლე, ბარსელონა

მომავალ შუქს, როთაც იდუმალ და იშვიათ ეფექტებს ქმნიდნენ. მზის შუქით განათებული ვიტრაჟი განსაცვიფრებელი მანათობელი მოზაიკის მსგავს ფორმას იძენდა, რაც თავისითავად ახალი ფიგურატიული ხელოვნების ანუ შუქით მხატვრობის (შეიძლება ითქვას „შუქწერის“) გამოხატულებას წარმოადგენდა და აერთიანებდა ხატვის ხელოვნებასა და მინაზე მუშაობის ტექნიკას. ასე იქცა საკათედრო ტაძარი სიმბოლურ მაგალითად და „შუქის არქიტექტურის“ გამომსახველობით ადგილად.

შემთხვევითი როდია, რომ საკათედრო ტაძრები აღმოსავლეთ-დასავლეთის დერძზეა ორიენტირებული, დასავლეთით განლაგებული შესასვლელით: აღმოსავლეთით განლაგებული აფ-სიდის ფანჯრებიდან შემოსული სინათლის სხივები შუქისა და ფერების იმგვარ თამაშს იწვევს, რაც სიმშვიდეს პგვრის მნახველის სულს.


მორნმუნე, მთავარი კარის გავლისას, ხედავდა ტიმპანში გამოკვეთილ საშინელი სამსჯავროს/ უკანასკნელი განკითხვის/, ანუ აპოკალიფსის დიდებულ ქრისტეს; ეკლესიის ზღურბლზე გადასულს, მზის შუქის „საოცრება“ ელოდა, რომელიც ვიტრაჟე-

ბიდან არეკლილი შუქით ქრისტეს სახეს ისე აჩვენებდა, როგორც „ამომავალ ნათელს“, როგორც ამას ვხვდებით მრავალი ადრექრისტიანული, ბიზანტიური თუ რომაული ეკლესიების აფსიდებზე. ნათელი შუქის სამკვიდროდ ქცეული ტაძარი თავად ხდება კოსმიური წესრიგის გამოხატულება და ღვთაებრივი ტრიუმფის მოწმობა.

ვიტრაჟები ქვასთან ერთად გვესაუბრებიან, როგორც „ლარიბების ბიბლია“ წმინდა გამოსახულებებით, რომლებიც აღნერდნენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს და ასე, იმკვიდრებდნენ ადგილს არქიტექტურაში, როგორც ჭემარიტი სამკაულები და შედევრები, რომლებიც შუა საუკუნეებიდან დღემდე გვიგალობენ შუქის რითმებით და თავიანთი ფერადოვნებით სულს გვიახლებენ.

ვიტრაჟის ნამდვილ შედევრებს ვხვდებით რეიმსის, პუატიეს, რუანის გოთიკური სტილის ტაძრებში (სადაც შემორჩენილია მინაზე მუშაობის დიდოსტატის, კლემენტ შარტრელის სახელი), ბურჟე, ლაონი, ლიონი, ლე მანი..., უზარმაზარი როზეტა (მრგვალი ფორმის ვიტრაჟული სარქელი) პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრანსეპტზე, სადაც ყვითელ, ნითელ და ლურჯ ფერთა გამები სიბნელეში იდუმალ

ატრმოსფეროს ქმნიან, ფიზიკური სინათლისაგან დამოუკიდებელი პროექციების ან გამოსხივების მსგავსად, ფრანგული გოთიკური ვიტრაჟის დიდ ტრიუმფში, რომლის კობალტის ლურჯი ფერი ისეთი ნარმტაცი, უნიკალური და განუმეორებელია, რომ მას „შარტრის ლურჯს“ უწოდებენ. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ეს დიდი გამოგონება იყო, რისი განსაზღვრაც, სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია, რამდენადაც ფორმულას ხელოსნები საუკუნეთა განმავლობაში ინახავდნენ, როგორც ძვირფას სამშენებლო საიდუმლოს.



დონ ბოსკოს ტაძარი, ბრაზილია

ვიტრაჟების ოსტატობამ შარტრის საკათედრო ტაძარი შთამბეჭდავ ნაგებობად აქცია, ის სულ რაღაც შვიდ წელიწადში აშენდა: 176 კომპოზიცია, სხვადასხვა ზომისა და ფორმის: შეისრული, ორფრთიანი, წრიული, ჩასმული ვარდულას ან სხვა ფორმის სარკმელებში (13 მეტრის დიამეტრით), 2600² ფართობით, ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებით, რომელთა დიდი ნაწილი ღვთისმშობელს ეძღვნება, მათ შორის, ყველაზე ცნობილია *Notre-Dame de la Belle Verrière* („ჩვენი დედუფალი ლამაზი ვიტრაჟისა“, 1180 წ), რომელიც საოცარ სანახ-

აობას ქმნის ლურჯ-წითელ ფერთა კონტრასტით. ეს გოთიკური შედევრი, საბედნიეროდ, გადაურჩა რელიგიურ ომებსა და ჰუგენოტების ძარცვას XVI საუკუნეში.

აღნიშვნის ღირსია **სენტ დენის ტაძარი საფრანგეთში**, ვიტრაჟებისა და გოთიკური არქიტექტურის სიმბოლო, სადაც აბატი სუგერუსი (1081-1151), გოთიკური სტილის დიდი ნოვატორი და სენტ დენის არქიტექტორ-მშენებელი, 1136-1140 წლებში შესრულებული სამუშაოებით ისეთ მანათობელ სივრცეს ქმნის, ე.წ. „ზეციური შუქით“, რომელიც ანათებს ეკლე-

ლელობა. კიდევ ერთი გასაოცარი მაგალითია წმიდა სტეფანეს ბურჟის საკათედრო ტაძარი (cattedrale di Bourges), რომელშიც შემონახულია ვიტრაჟების არაჩვეულებრივი ციკლი, იგი მეცამეტე საუკუნის დასაწყისს მიენერება და სხვადასხვა ოსტატების შემოქმედება გახლავთ.


ლომის წილი ვიტრაჟული ხელოვნების განვითარებაში გერმანიის რეგიონს უდევს, ფაქტობრივად, გერმანელების დამსახურებაა ის, რომ მათ შეძლეს დახვეწილი ფრანგული ტექნიკისა და მინანქრის უძველესი ხელოვნების შეერთება, რითაც მას შესძინეს უფრო მეტი დეკორატიულობა და ფერთა სიძლიერე. გერმანულია ასიზის ზედა ბაზილიკის უძველესი ვიტრაჟები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელოვნება იტალიაში უფრო გვიან განვითარდა, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპაში, დასრულებული სახე მხოლოდ XIV საუკუნეში მიიღო, იტალიელმა ოსტატებმა შეძლეს შეექმნათ ხატოვანი ენა, რითაც მინის დამზადების ტექნიკა მხატვრობას მიუახლოვდა. ამ თვალსაზრისით, სიმბოლურ მაგალითს წარმოადგენს **მილანის საკათედრო ტაძარი** თავისი ვეება ვიტრაჟული სარკმელებით.

ვიტრაჟის ტექნიკა

ვიტრაჟი არის მოზაიკა, რომელიც შედგება შუქამტარი, გამჭვირვალე ძვირფასი ქვების მსგავსი მინის პატარა ნაჭრებისაგან, თითოეული შუშის კიდეები ერთმანეთთან დაკავშირებულია ტყვიის ზოლებით და დეტალებში ცეცლოვანი ყავისფერი ნიშნებით, რაც მიღელირების გამოკვეთისათვის იყო საჭირო. ვიტრაჟის შექმნა იწყება ესკიზით, რათა შესწავლილ იქნეს გამოსახულება და ფერთა განაწილება, ესკიზი საჭიროა ნამუშევრის საბოლოო ეფექტის შესაფასებლადაც, შემდეგ ის გადადის დიდ მუყაოზე ვიტრაჟის საბოლოო პროფილით ფანჯრის ზომაზე მორგებით, დეტალურად არის დამუშავებული ნახატის კონტურები და ტყვიის ჩარჩოების შეერთება. ერთი და იგივე ნახატი გადაჰქონდათ მუყაოზე, რომელიც იჭრებოდა განსხვავებულ ნაწილებად, თითოეული მათგანი გამოიყენებოდა ფერადი მინის ცალკეული ნაჭრების დასაჭრელად, ცხელი უთოების გამოყენებით. დეტალები, რომლებიც გამოსახავდნენ სახეს, თმებსა და სხვა ნაწილებს, მიიღებოდა ჯაგრისით, რომელიც ამოვლებული იყო დაქუცმაცებული მინის ფევნილის მტვერში, მეტალის ოქსიდის, წყლის, მმრისა და არაბული რეზინის მინარევში.



სიას და „ასხივოსნებს დაბინდულ გონებას, რომელიც მატერიალური გზით და ამ ამომავალი შუქის ხილვით ჭეშმარიტებამდე მაღლდება“ (სიტყვები, ამოტვიფრული სუგერუსის მიერ ტაძრის პორტალების ბრინჯაოს კარებზე). აღსანიშნავია, ასევე, პარიზის Sainte Chapelle (წმიდა კაპელა), რომელიც აშენდა 1243-1248 წლებში, იგი სწავლის არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, მასში მზიდი ელემენტები და კედლის კონსტრუქციები მინიმუმამდეა დაყვანილი, რათა გაძლიერდეს ვიტრაჟების მიზიდულობა/მომხიბვ-




ნასირ ალ-მულქის მეჩეთი, შირაზი


საგანგებო ჩანართი



მადლიერების სამლოცველო, დალასი



სავადრის ეკლესია, სან სალვადორი



ტმიდა სეპასტიანეს საკათედრო ტაძარი, რიო დე ჟანეირო

მას შემდეგ, რაც ეს მინარევი ე.წ. „გრიზაილი“ (სახელი მიუთითებს მინაზე ხატვის ტექნიკაზე) მიიღება, მხატვარი მისაგან იღებს ერთ ნაწილს ეფექტის დასარეგულირებლად; შემდეგ აფიქსირებს მას ფირფიტებზე საბოლოო გამონვისათვის, რათა მიიღოს მინის ფენილის ვიტრიფიკაცია (ერთიან მინის მასად გადაქცევა სწრაფი გაცივებით). ცალკეული ნაჭრები საბოლოოდ აწყობილი და დამაგრებულია ესკიზის მიხედვით. XII საუკუნის მინა სხვა მინარევებსაც შეიცავდა, როგორიცაა ლითონის ნაწილაკები, ტექსტურა კი უსწორმასწორო სისქისა და ზედაპირის იყო. ეს ხარვეზები, წლების გასვლასთან და ატმოსფერული პირობების შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებთან ერთად, სინათლის თამაშს ქმნიდნენ, რამაც ამ პერიოდის ვიტრაჟებს ბრნყინვალე იერი შესძინა. მაგრამ გოთიკურ ვიტრაჟებში იმალება ისეთი საიდუმლო, რომ ვიტრაჟების შექმნა ზოგიერთს ალქიმიასთან დაკავშირებული ჰქონია.

მსოფლიოს 9 თვალწარმტაცი ვიტრაჟი:

1. Sainte-Chapelle - წმიდა კაპელა, პარიზი (საფრანგეთი)
2. Palau de la Música Catalana - კატალონიური მუსიკის სასახლე, ბარსელონა (ესპანეთი)
3. Santuario Dom Bosco - დონ ბოსკოს ტაძარი ქ. ბრაზილიაში (ბრაზილია)
4. Nasir Al-Mulk - ნასირ ალ-მულქის მეჩეთი, შირაზი (ირანი)
5. Museo Erawan - ერავანის მუზეუმი, (ტაილანდი)
6. Gran Hotel Ciudad de México, მეხიკო (მექსიკა)
7. Chapel of Thanksgiving - მადლიერების სამლოცველო, დალასი (ტეხასი)
8. Catedral Metropolitana de São Sebastião - წმიდა სეპასტიანეს საკათედრო ტაძარი, რიო დე ჟანეირო (ბრაზილია)
9. Iglesia El Rosario - სავადრის ეკლესია, სან სალვადორი (ელ სალვადორი)

სურობათის ქალიშვილი

მისი მამა 37 წლის იყო, დედა კი 48-ის, როდენაც ისინი ამაოდ ცდილობდნენ შვილის გაჩენას. წყვილი საფრანგეთში ცხოვრობდა, საკმაოდ მდიდრები იყვნენ და როდესაც მიეცათ შესაძლებლობა, მათ დაიქირავეს ამერიკელი ქალი, რომელიც თავის კვერცხუჯრედს და საშვილოსნოს სხვებს სთავაზობდა. ასე დაიბადა ოლივია, იგი ახლა 32 წლისაა, სამი შვილის დედაა და იმ ჯგუფის წევრია, რომელებმაც კასაბლანკაში წარმოადგინეს დოკუმენტი, სახელწოდებით „საერთაშორისო დეკლარაცია“ სუროგაციის გაუქმების შესახებ“. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში „Avvenire“ (06.04. 2024), სათაურით: „ოლივია მაურელი, დაბადებული დაქირავებული საშვილოსნოდან: ამ საიდუმლომ კინალამ მომელა“.



სუროგატის ქალიშვილი, რომელიც ხდება სუროგაციის მთავარი მტერი. მაინც რა მოხდა, ოლივია მაურელ?

მოხდა ის, რომ დაბადებისთანავე განვიცადე მიტოვების ტრავმა: ხელში არ ამიყვანა იმან, ვინც ცხრა თვის განმავლობაში მუცლით მატარებდა, ვინც მესაუბრებოდა, ვინც მკვებავდა, სხვებს გადამცეს, რომ ამით დასრულებულიყო მასთან კონტრაქტი, ვინც სამყაროში ჩემი მოვლინებისთვის თანხა გადაისადა. მე, ახალშობილს, მომთხოვეს დედაჩემისა და ჩემი წარმომავლობის განვირვა უფროსთა სურვილის გამო.

ოლივია, შენ უკვე ზრდასრული იყავი, როცა სიმართლე გაიგე. გააცნობიერე თუ არა მოტივი, რაც შენს მშობლებს ამოძრავებდა?

მე მიყვარს ჩემი მშობლები. ძნელია, ხალხს გააგებინო, რომ ვებრძვი არა ადამიანებს, არამედ სისტემას.

მაინც რა მოხდა?

მიტოვების ტრავმამ ღრმა კვალი დატოვა ჩემში. განვიცდიდი დამოკიდებულებას, ვიყავი ძალადობის მსხვერპლი, თვითმკვლელობაც ვცადე, ვერ ვამყარებდი ურთიერთობას, რადგან ყოველთვის მეშინოდა, რომ მიმატოვებდნენ. სწავლა არ დამიმთავრებია. საიდუმლო ტრიალებდა ოჯახში და შინაგანად ვგრძნობდი, რომ მე ვიყავი ბავშვი, რომელიც შეუკვეთეს, როგორც საქონელი.

როდის გაიგეთ, რომ სუროგატი დედისგან დაიბადეთ?

2022 წლის დასაწყისში ჩემი ეჭვები რეალობად იქცა, აშშ-ში ჩატარებული დნმ-ის ტესტის შედე-

გად. სხვადასხვა გამოკვლევის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მყავდა ნახევარდმები, ნახევარდები, ბიძაშვილები, ბიძები და სუროგატი დედა.

ცოტა ხნის წინ თქვენ გამოხვედით სუროგაციის წინააღმდეგ: ისაუბრეთ გაეროში, ჩეხეთისა და ხორვატიის პარლამენტებში... რატომ?

მსურს, არცერთმა ბავშვმა არ განიცადოს ის, რაც მე განვიცადე ჩემი წარმოშობის შესახებ სიმართლის დადგენისას. სუროგაცია ბავშვებსა და ქალებს ვაჭრობის საგნად აქცევს. ბავშვებს ფასს ადებენ, ხოლო ქალებს რეპროდუქციული უნარის გამო იყენებენ. ყველაფერი ელემენტარულია.

თუმცა, ბევრი იცავს ქალთა თავისუფლებას და მზად არიან ხელი მოაწერონ სუროგაციის კონტრაქტს.

არა მგონია, რომ ქალებს, რომლებიც სუროგაციაში ერთვებიან, სრული წარმოდგენა ჰქონდეთ იმის შესახებ, რა შეიძლება მოხდეს ორსულობის დროს და მას შემდეგ. მათ შეიძლება დაკარგონ ბავშვი, შეიძლება მასთან მიჯაჭულობის გრძნობა გაუჩნდეთ და არ მოინდომონ მისი გადაცემა, შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ მიღებული ჰორმონების გამო.

როტულია ბრძოლა ისეთ გლობალურ პიზნესთან, როგორიც სუროგაციაა?

დიახ, ასეა, ჩვენ ვებრძვით გიგანტს, მაგრამ ამას სიმართლის გულისთვის ვაკეთებთ. არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ვაგრძელებ ბრძოლას. სუროგაციის შესახებ საერთო უცოდინრობა სუფერვა: ცოტამ თუ იცის, როგორ მუშაობს ის. პოლი-

ტიკოსებს შორისაც კი არიან ისეთები, ვისაც ხელენიფერა რამეს შეცვალა ამ მიმართულებით.

ზოგადად, სუროგაციის შესახებ ნარატივი სულ სხვა მიმართულებით მიღის...

დიახ, ჩვენ მივეჩვიერ მშვენიერი ისტორიების მოსმენას იმ წყვილთა შესახებ, რომლებიც ამ გზით ახორციელებენ მშობლად გახდომის თავიანთ ოცნებას, ან ამპებს ბავშვების შესახებ, რომლებიც ბედნიერი არიან, სუროგაციის გზით რომ დაიბადნენ. მე არ ვამცირებ ამ გამოცდილებას, მინდა ყველა ბედნიერი იყოს და არ ვადანაშაულებ არც წყვილებს, არც ჩემს მშობლებს, რომლებსაც სუროგაციის არჩევანი ვერცხლის ლანგრით მიართვეს. მე ვადანაშაულებ ქვეყნებს, მთავრობებს, რომლებიც ნებას რთავენ, რომ სუროგაცია ლეგალურად არსებობდეს და ზომებს არ იღებენ ამ პრაქტიკის წინააღმდეგ. თუმცა არის ერთი მომენტი: ვერ ვიტყვით, რომ ყველა პოზიტიური ამბავი, რომელსაც ვისმენთ, უმრავლესობის შესახებაა: მრავალი ადამიანი იტანჯება ამის გამო, არაფერს ამბობენ, რადგან ძნელია დაუპირისპირდე ამ პრაქტიკას. ეს ყოველივე მეც ძირიად მიჯდება: ხანდახან მიწოდებენ ჰომოფობს, ფაშისტს, ულტრაკონსერვატორს, მატყუარას... მას შემდეგ, რაც სუროგაციის საყოველთაო გაუქმებისთვის დავიწყე მუშაობა, 2023 წლის ივნისში, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ოჯახის მრავალმა წევრმა ჩემთან ურთიერთობა განყვიტა, ყველაფერში მადანაშაულებდნენ, მა-

გრამ, სანაცვლოდ, ვიგრძენი ძალა, სიმართლე, ზნეობა...

ახლა, როცა შენი წარმომავლობის შესახებ შეიტყვე, გაქრა ის სულიერი დისკომფორტი, რასაც განიცდიდ?

დიახ, ბოლოს და ბოლოს, ვიცი ვინ ვარ, გავიგე ჩემი გენეტიკური წარმომავლობის, ჩემი ოჯახის შესახებ, გავიცანი ჩემი ნახევარძმა და ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი, მატიასთან ქორნინებისა და შვილების გაჩენის შემდეგ. მე ვიცი, ვინ მინდა ვიყო: ადამიანი, რომელიც ავრცელებს სიმართლეს სუროგაციის შესახებ, იმ სიმართლეს, რასაც უურნალ-გაზეთებში ვერ შეხვდებით, ადამიანი, რომელსაც ძალიან ეშინია ვინმეს განაწყენების.

იტალიაში მალე მიიღებენ კანონს, რომელიც კრძალავს სუროგაციის პრაქტიკას მისი მოქალაქეებისათვის. ეს სწორი გზაა?

ეს ერთადერთი გზაა. თუ ადამიანი საზღვარგარეთ მიღის ბავშვის ასაყვანად, რაც არაეთიკურია, მან იცის, რომ ციხე ემუქრება, ეს კი ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორია.

ხუთშაბათს (4 აპრილს) თქვენ რომის პაპ ფრანცისკეს შეხვდით, როგორ ჩაიარა ამ შეხვედრამ?

პაპმა კარგად იცის სუროგაციისთან დაკავშირებული პრობლემები, ის ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს არის დიდი ბაზარი. ამან შთამაგონა, რომ გავაგრძელო ბრძოლა.



ლიტურგის მართვა ადამიანი ვარ იქნება ბედნიერი



დავიბადე 1977 წელს ლატვიის დედაქალაქ რიგაში. ღმერთის არსებობის შესახებ პირველად დედისგან შევიტყვე. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა იგი მეუბნებოდა, თუ რაიმე ცუდს ჩაიდენ, ღმერთი გაიგებს, რადგან ის ყველაფერს ხედავსო, და რომ ის არის მსაჯული. მოგვიანებით, სკოლაში სწავლის პერიოდში, ჩემმა ისტორიის მასნავლებელმა, რომელიც ძალიან ჭკვიანი ადამიანი იყო, დამაფიქრა ამქვეყნად ლვთის არსებობის შესახებ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს სკოლაში მოვიდა ერთი კაცი, რომელიც ბიბლიას არიგებდა; თუმცა ძალიან მერიდებოდა, დიდხანს შორიდან ვაკვირდებოდი, მაგრამ მაინც მივუახლოვდი და ბიბლია ვთხოვე...

ათი წლისა ველოსპორტმა გამიტაცა. მჯერა, რომ ეს ლვთის ნება იყო. რამდენიმე წელი ვარჯიშობდი, გადავწყვიტე, მსოფლიოში საუკეთესო სპორტსმენი გავმხდარიყავი და თავს არ ვზოგავდი მიზნის მისაღწევად. თხუთმეტი წლისამ ზედმეტი ვარჯიშით ორგანიზმი ისე გადავტვირთე, რომ უძილობა დამეწყო, რომელმაც თითქმის სამ წელიწადს გასტანა. დღისით ვვარჯიშობდი, ვმონაწილეობდი ყველა შეჯიბრში, ლამით კი ვერ ვისვენებდი, რადგან საკმარისად არ მეძინა, მე ხომ თავდაუზოგავად მივისწრაფოდი ჩემი მიზნისაკენ... გადატვირთვისგან დამიზიანდა ვეგეტატიური ნერვული სისტემა, რომელიც არ იკურნება. ახლა მადლიერი ვარ ლვთისა, მაშინ რომ არ მოვკვდი. შფოთვა და შიში ჩემი მუდმივი თანამგზავრი გახდა. დავდიოდი ექიმებთან კონსულტაციაზე, მაგრამ ვხედავდი, რომ არაფერი მშველოდა, ჯანმრ-

თელობა სულ უფრო და უფრო მიუარესდებოდა, სხვადასხვა შიშმა დამძლია და სწორედ მაშინ შემოვიდა ჩემს გულში ღმერთი.

ზუსტად იმ ხანებში დედაჩემმა სიარული დაიწყო ევანგელიურ ეკლესიაში. უკვე ერთი წელი იყო, რაც სახარებას ვკითხულობდი. გადავხედე ჩემს ცხოვრებას და დავიწყე იმის შესრულება, რაც დაწერილი იყო ბიბლიაში. დავინახე, რომ ბიბლიის სიტყვები ნამდვილად მოქმედებდა და მივხვდი, რომ ეს არის ცოცხალი წიგნი. მაშინ შევუდექი ლოცვას: „უფალო, დამეხმარე, რომ შევძლო შენი სიტყვის გაგება“. ლვთის დახმარებით თანდათან შევიცვალე, თუმცა პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა. ჩემს ცხოვრებაში მყისიერი განკურნება არ მომხდარა. უბრალოდ ღმერთმა მომცა რწმენა და იმედი, რომ თუ მას მივენდობოდი, ჩემი სულიერი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. ბიბლიაში მოცემულია როგორც განკურნება, ისე წამლობა/ექიმობაც. ვგრძნობდი, რომ უკეთ ვიყავი, ისე მომივიდა, როგორც იმ ქალს, რომელიც თორმეტი წელი იტანჯებოდა ავადმყოფობით, რწმენით მივიდა იესოსთან და შეეხო მისი სამოსლის კალთას. მეც მივეახლე იესოს და შევეხე მას...

ვიცოდი, რომ ბიბლიაში ვიპოვიდი პასუხს ყველა კითხვაზე, რაც კი მაინტერესებდა. შევუდექი წმიდა წერილიდან იმ ადგილების ხაზგასმასა და ზეპირად სწავლას, სადაც ნათქვამი იყო, რომ ღმერთმა შეგვემნა ხატად და სახედ თვისა, რომ ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და საოცრად შექმნილი, რომ მის წიგნში ჩანერილია ჩემთვის დანიშნული

სახარების სიხარულის მოწვევი ვარიკო ნოზაძე

ყველა დღე. მე, რომელსაც ადრე მეშინოდა სიღარიბის, უცებ ჩემს გულს შეეხო სიტყვები: „თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და მისი სიმართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ“ (მათ. 6, 33), და ასევე: „თქვენი გზა იყოს ვერცხლისმოყვარების გარეშე და იმას დასჯერდით, რაცა გაქვთ, ვინაიდნ თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგავდებ“. ამიტომ გამხნევებული ვამბობთ: „უფალია ჩემი შემწე, არ მეშინია: რას მიზამს მე კაცი?“ (ებრ. 5-6). ეს მონაკვეთი ბიბლიიდან ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. არცთუ კარგად მესმოდა, რას ნიშნავდა „ვერცხლისმოყვარება“, მაგრამ უფლის დაპირებამ - „არ მიგატოვებ და არ დაგავდებ“ ძალიან იმოქმედა ჩემზე. და თუკი ღმერთი არ მიმატოვებდა, მაშინ ყოველმხრივ კურთხეული ვიქნებოდი. უფლის მშვიდობა შემოვიდა ჩემში, რწმენა თანდათან მემატებოდა, სახარების სიხარული მავსებდა. მივხვდი, რომ წმიდა წერილი ნამდვილად მოქმედებდა ჩემს ცხოვრებაში.

დავდიოდი შთაგონებული, ფრთაშესხმული, რადგან ჩემს კითხვებზე პასუხს ვიღებდი. იმ დროს სპორტულ ინტერნატში ვცხოვრობდი და მეგობრებს ღმერთის შესახებ ვესაუბრებოდი, ვუამბობდი, თუ რა გამიცხადა მან. და აი, ზოგიერთმა მათგანმა დაიწყო ეკლესიაში სიარული. როდესაც ღმერთი ვირწმუნე, ვიფიქრე, რომ ვიქნებოდი ქრისტიანი, დავრჩებოდი სპორტსმენად და სპორტში ნარმატებებით ვადიდებდი ღმერთს. მაგრამ როცა დავიწყე ღვთის ნების ძიება ჩემს ცხოვრებაში, სხვა პასუხი მივიღე.

ერთხელაც ღმერთს ასეთი კითხვით მივმართე: „უფალო, გსურს, რომ სპორტული კარიერა გავაგრძელო?“ იმ ხანებში მივიღე მოწვევა გერმანიის

ერთ-ერთი კლუბიდან და გადავწყვიტე, ღმერთისთვის მეთხოვა, მოეცა რაიმე ნიშანი, რომ თუ ეს მისი ნება არ იყო, არ მოსულიყო კონტრაქტი. როდესაც მართლაც ასე მოხდა, მწვრთნელს განვუცხადე: „მე მივდივარ დიდი სპორტიდან“. ამ სიტყვების შემდეგ საოცარი შევება ვიგრძენი, თავისუფლება, უწინ კი მონა ვიყავი, რადგან პროფესიონალური სპორტი ძალიან მძიმე შრომას მოითხოვს. სპორტიდან წასვლა მკვეთრი შემობრუნება იყო ჩემს ცხოვრებაში.

1996 წელს მოვინათლე. როგორ დავინახე, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს? მან შემცვალა. ჩემი ცხოვრებაც შეიცვალა, შიში გამიქრა. და კიდევ, ახლა მტკიცებ მწამს, რომ ყველაფერი, რაც ჩემშია, ღვთისგანაა. ღმერთი მიმიძვის და ყველაფერში მეხმარება. მისი წყალობაა, რომ დღეს ჯანმრთელი ვარ, მაქს სამსახური, მყავს მშვენიერი მეუღლე, რომელსაც აქვს ყველა ის თვისება, რასაც ღმერთს შევთხოვდი; ოჯახი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ვფიქრობ, რომ უფალი მთელი ცხოვრება გვამზადებდა ორივეს ერთმანეთისთვის.

1999 წელს დავამთავრე ოზოლნიკების თეოლოგიური ბიბლიური სკოლა, ხოლო 2000 წელს - რიბნიცის ბიბლიური კოლეჯი (ევანგელისტი და მქადაგებელი). ღმერთმა მომცა სამუშაო, მსახურებისათვის მომიწოდა ქალაქ იეკაპილაში. 2006 წელს დიაკვნად ვიქენი ხელდასხმული და იმავე წლის აგვისტოდან შევუდექი მსახურებას იეკაპილსის ევანგელური რწმენის ქრისტიანთა გაერთიანებულ ეკლესიაში. ჩემი ცხოვრება ქრისტეა. მსურს, რომ მე და ჩემი ოჯახი ვემსახუროთ უფალს, განვადიდოთ იგი, დრო, ძალა, ჯანმრთელობა, ნიჭი - ყველაფერი, რაც ღმერთმა მოგვცა, მივუძღვნათ მას.

ახლა არც სიკვდილის მეშინია, არც სიღარიბის. ვიცი, რომ ყველაზე მდიდარი ვარ - მყავს უფალი და მაქს მისი იმედი. დავითმა თქვა: „ყმანვილი ვიყავი, კიდეც მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული, და მისი მოდგმა - პურზე ხელგაწვდილი“ (ფსალმ. 36, 25). დარწმუნებული ვარ, უფალი მასაზრდოებს. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ. მაქს საყვარელი ოჯახი, ჩემთვის ძვირფასი მსახურება და, რაც მთავარია, მყავს ჩემი ღმერთი, რადგან ღმერთის გარეშე ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი.



მოწოდების სისარული

25 წელი, სრული მეოთხედი საუკუნე, გასული ლვთისმსახურებაში, სამრევლის წევრთა სულიერ მამობაში, საკრებულოზე ზრუნვაში, და ეს ყველაფერი პირად ცხოვრებაზე უარის თქმის ხარჯზე, ხშირ შემთხვევაში, სამშობლოდანაც მოშორებით, განსხვავებულ კულტურულ გარემოში, ბერმონაზვნური ორდენის წევრობის დროს კიდევ დამატებითი აღთქმები და მოვალეობანი. რა დგას ამ პასუხსაგები არჩევანის უკან? - ლვთისადმი უსაზღვრო სიყვარული, ძლიერი რწმენა, ხსნის იმედი და მოყვასზე ზრუნვის სურვილი. მსურს, პირადად ჩემი და ურნალ „საბას“ სარედაქციო კოლეგის სახელით, მღვდლობის იუბილე მიულოცო საკათედრო და რუსთავის ტაძრების წინამძღვარს, ხევატეხუმენური საკრებულოების პრესბიტერს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილს; წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარსა და კახეთის საკრებულოების მღვდელმსახურს, მამა მაჩი მამას; საქართველოში წმ. კამილოს მისის ხელმძღვანელს, მამა პავლე დილს და სალელთა ორდენის საქართველოს მისის ნარმომადგენელს, მამა ქმიშტოფ ნესტერუეს. ოთხივე იუბილარ სასულიერო პირს ერთი რამ აერთიანებს: ხელდასხმის თარიღი, 1999 წლის 29 მაისი, რომელიც შემთხვევით არ შერჩეულა. იმ წლის ივნისში პოლონეთის იოანე-პავლე II სტუმრობდა და პაპის ვიზიტი მიეძღვნა მღვდელმსახურთა ხელდასხმა, რითაც ამ რიტუალმა სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა.

ოთხივე კათოლიკე მოძღვართან პირადი ნაცნობობა მაკავშირებს და, მათი სამღვდელო მსახურების 25 წლისთავთან დაკავშირებით, მსურს, მცირე მოგონებები გაგიზიაროთ.

მამა ზურაბი პირველია იმ ქართველ მონიდებულთა შორის, რომელიც, პოლონეთში მომლოცველობის დროს, ჩენსტოხოვოში პაპმა იოანე-პავლე II-მ უშუალოდ აკურთხა მღვდლობისათვის. გუშინდელი

დღესავით მახსოვს 1999 წლის ივნისში წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში მამა ზურაბის მიერ მშობლიურ ენაზე აღვლენილი პირველი წირვა. ხუთი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მამა ზურაბი წინამძღვრობდა ვალეს, ახალციხის, ივლიტას, ბორჯომის საკრებულოებს. ივლიტაში წარმეული ტაძრის სიახლოვეს სწორედ მისი თაოსნობით მოწყობი სამლოცველო სახლი, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. როგორც „საბას“ კორესპონდენტი, არაერთგზის ვსტუმრობდი მამა ზურაბს და უშუალო მოწმე ვარ მისი დატვირთული მსახურებისა, სამრევლოსა და მრევლის წევრების სიყვარულისა; მოწმე ვარ მისი აღშფოთებისა და პროტესტისა, როდესაც მავანთა ფარული გარიგებით ბუზმარეთის ტაძარი სხვა კონფესიას გადაეცა. ასევე უშუალო მოწმე ვარ მამა ზურაბის სულიერი და ფიზიკური გარჯისა ახლად აგებულ რუსთავის ტაძარში. სემინარისტები, რომელთაც იგი ასწავლიდა წეროვანის სასულიერო სემინარის რექტორობის დროს, დღეს უკვე მღვდლის ხარისხში, სხვადასხვა საკრებულოს ემსახურებიან...

მამა ზურაბმა ვარშავაში დაიცვა სადოეტორი დისერტაცია ადრეული შუა საუკუნეების ქართველ წმიდანთა შესახებ, ხოლო 2016 წელს ასევე ვარშავაში გამოიცა მისი ვრცელი მონოგრაფია „ქრისტეს მონამენი საქართველოში“. ამ წიგნს საქმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა პოლონეთში. სამაგალითოდ ერთ ფაქტს მოვიყვან: 2020 წელს დიდ სამეცნიერო ფორუმში ვმონანილეობდი; როდესაც პოლონელმა მეცნიერებმა გაიგეს, რომ მამა ზურაბს ვიცენობდი, მთხოვეს, პირადად შემეხვედრებინა იგი. ასე რომ, მამა ზურაბმა პოლონეთს გააცნო ქართული კულტურა და ჩენებს მოძმე ქვეყანაში, სიბოლოურად, საქართველოს საპატიო ელჩის მოვალეობასაც ასრულებს.

ნებრძო ბარეტულიძე

როგორ დაიბადა თქვენი მოწოდება?

მამა პავლე დილი: როულია, ზუსტად აღწერო შესაფერისი სიტყვებით, როგორ იპადება ადამიანის გულში მოწოდება, რომელიც ღმერთის საიდუმლო საჩუქარია. ჩემი მოწოდება კი დაიბადა მორჩმუნე მშობლებისა და ბრწყინვალე მღვდლების გარემოცვაში, რომლებიც ჩემი მოზარდობის მღელვარე პერიოდში თან მახლდენენ. უფალმა იესომ მიჩვენა გზა მღვდლობისაკენ ჩემი გულის სხვათა ტანჯვისკენ მიმართვის მეშვეობით. ბავშვობაში მინდოდა გავმხდარიყვი ვეტერინარი და, როგორც ექიმ დულიტლს, მომერჩინა ავადმყოფი ცხოველები. ვიზრდე-

ბოდი პოლონეთში პოლიტიკური ცვლილებების ხანაში. მონობის პერიოდის შემდეგ პოლონეთმა მოიშორა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარიზმის უღელი და დაინტერირება კვეყნად ჩამოყალიბება. მე მინდოდა შესვლა სომასკის მამების ორდენში, რომელიც დარიბებს ემსახურებოდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მათ გავუგზავნე წერილი, რომელზეც პასუხი არ მიმიღია. ფოსტა იმ დროს საუკეთესოდ ვერ მიიჩნეოდა. ამიტომ გადავწყვიტე შევსულიყავი ტარნოვის სასულიერო სემინარიაში. იქ ერთნლიანი ყოფნის დროს ხშირად ვსტუმრობდი ავადმყოფებს ქალაქ ტარნოვის პოსპისში. აკ-

ინტერვიუ

ადგემიური წლის ბოლოს დახმარება ვთხოვე ჩემს სულიერ მამას, მღვდელ ანუეი ბაკალაური, ჩემს მოწოდებასთან დაკავშირებული დილემის გადაჭრაში. ეს კეთილშობილი მოძღვარი ყურადღებით ჩასწევდა ჩემი სულის ხმას და მომცაორდენთა კატალოგი, სადაც შემეძლო მეპოვა ის ორდენი, რომლის ქარიზმაც დაკავშირებული იქნებოდა ავადმყოფთა მსახურებასთან. ავირჩიე წმიდა კამილოს ორდენი, რადგან ის მაძლევდა საშუალებას, მიმელო მღვდლად ხელდასხმა და, ამავდროულად, ფიზიკურად მემსახურა ავადმყოფთათვის.


მამა ზურაბ კაკაჩიშვილი: დავიბადე და გავიზარდე ახალციხის რაიონის ქ. ვალეში, მასწავლებლის ოჯახში. ჩემი ბავშვობის პერიოდში, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაკეტილი იყო მრავალი ეკლესია და მესხეთშიც არ იყო არცერთი კათოლიკე მღვდელი. ამიტომ ჩემმა მშობლებმა გარისკეს და სამი წლისა, ჩემს დასთან ერთად, „საიდუმლოდ“ ჩამომიყვანეს თბილისში, წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც იმ პერიოდში ერთადერთი მოქმედი ტაძარი იყო (წინამძღვარი მამა კონსტანტინე საფარიშვილი) და მოვნათლეს. ზოგიერთი ლოცვა ბავშვობაში მასწავლა ბებიაჩემმა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1983 წ.) შევედი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დავასრულე 1990 წელს. ვარ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების აქტიური მონაწილე. შემდეგ იმავე სპეციალობით სწავლა გავაგრძელე ასპირანტურაში და პირველ კურსზე ყოფნისას (1990-91 წ.).

მქონდა სერიოზული კრიზისი, ვერ ვხედავდი ჩემი ცხოვრების აზრს. ღმერთს არ ვიცნობდი და ბედნიერებას ვეძებდი იქ, სადაც არ იყო. როგორც იმ დროს იძახდა და ახლაც ხშირად იძახის „სამყარო“: იმისათვის, რომ იყო ბედნიერი, კარგად უნდა ისწავლო, რათა ცხოვრებაში მიაღწიო წინსვლას, გქონდეს კარგი სამსახური, ბევრი ფული, სახლი, მანქანა, ლამაზი მეუღლე და კარგი ოჯახი. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თითქმის ყველაფერი მქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ ვგრძნობდი თავს ბედნიერად. თვითმკვლელობაზეც კი ვფიქრობდი, მაგრამ ამ „ცხოვრებისეულ სიბნელეში“ მყოფი მოსიყვარულე ღმერთმა არ მიმატოვა, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ უაღრესად. მან მომიგზავნა ჩემი მეგობარი, კათოლიკე სტუდენტი, რომელმაც მიმიპატიუა თბილისის წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც მიმდინარეობდა ნეოკატეხუმენური კატეხეზები, და იქ მოვისმინე ისეთი რამ, რაც მანამდე არასდროს გამეგონა: „ქრისტე შენთვის იტანჯა, ჯვარზე აიტანა შენი ცოდვები, მოკვდა, მაგრამ აღდგა მკვდრეთით. ღმერთს უყვარსარ, ის კარგად გიცნობს, იცის, რასაც განიცდი, იცის ყველა შენი პრობლემა, ყველა შენი ნაკლი და მზადაა, უსასყიდლოდ გაპატიოს ყოველი ცოდვა, ყოველი დანაშაული და შეცდომა, რათა შენს ცხოვრებას მიეცე აზრი“. ჩემთვის წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო, რომ ვინმეს უსასყიდლოდ ეპატიობინა დანაშაული. ამ სიტყვებისა და კატეხიზაციაში მონაწილეობის ზემოქმედებით, სულ მალე, ჩემი ინიციატივითა და სურვილით, გარკვეული მომზადების შემდეგ, 25 წლის ასაკში, პირველად ვთქვი აღსარება მამა იან სნეუინსკთან. საალმსარებლოდან რომ გამოვედი, ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს კი არ ვაბიჯებდი, არამედ დავთრინავდი. ვიგრძენი, რომ ქრისტემ მხრებიდან მომხსნა საშინლად მძიმე ტვირთი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვატარებდი, რომ მან ნამდვილად მაპატია ჩემი ცოდვები, რომელიც დარჩა საალმსარებლოში. ეს მოხდა 1991 წლის გაზაფხულზე, რის შემდეგაც გავხდი ამ ეკლესიისა და იმ დროისათვის იქ არსებული ერთადერთი ნეოკატეხუმენური საკრებულოს აქტიური წევრი. იმავე წლის აგვისტოში პოლონეთის ქალაქ ჩენსტოხოვში აღინიშნებოდა მსოფლიო ახალგაზრდული დღეები. დაახლოე-



ინტერვიუ

ბით, ცხრაასი ათასი ახალგაზრდა შეიკრიბა მთელი მსოფლიოდან და საქართველოდანაც გაემართა ორმოცდაათკაციანი ჯგუფი ნეოკატექუმენური საკრებულოდან წმიდა პაპ იოანე პავლე მეორესთან შესახვედრად. მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა და ორი კვირა დაგვჭირდა ჩენსტოხოვოში ჩასასვლელად. გზაში მამა იანი ხშირად მესაუბრებოდა მღვდლობაზე, მეკითხებოდა, ხომ არ მსურდა გავმხდარიყავი ღვთისმსახური. მე ცივ უარზე ვიდექი, რადგან ჩემი გეგმები მქონდა ცხოვრებაში. მამა იანი მიამბობდა ჩენსტოხოვოში „იასნა გურის“ სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის შესახებ. ამ ეკლესიაში დაფიქსირებულია მრავალი სასწაული, - დასძენდა იგი, - უამრავი განკურნება და, მათ შორის, ნახავ მრავალი კოჭლისა თუ ხეიბრის გამოჯანმრთელების შემდეგ კედელზე სამახსოვროდ დაკიდებულ უამრავ ყავარჯენს. ვფიქრობდი, ეს ხომ შეუძლებელია, მამა იანი ალბათ იმიტომ მიყვება ასეთ „ზღაპრებს“, რომ როგორმე დამითანხმოს-მეთქი მღვდლობაზე. ამ მომლოცველობამ სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება. პაპმა წირვა აღავლინა 15 აგვისტოს, მაგრამ წინადღით ყველა მომლოცველს ჰქონდა სასწაულმოქმედ ხატთან ლოცვის საშუალება. ტაძარში შესულმა დავინახე, რომ მარჯვენა კედლის გარკვეული ნაწილი დაფარული იყო იმ ყავარჯენებით, რომელთა შესახებაც მამა იანი მიყვებოდა. მიუახლოვდი გისოსებით დაცულ ხატს, დამავიწყდა ყველაფერი, რის თხოვნასაც ვაპირებდი და წინასწარ დაუგეგმავად მხოლოდ ერთი რამ ვითხოვე: „ღვთისმშობელო მარიამ, მიშუამდგომლე და სთხოვე შენს ძეს, იესოს, რომ მისცეს საქართველოს თუნდაც ერთი ქართველი კათოლიკე მღვდელი“. ეს იყო იმდენად სპონტანური, რომ ამის შესახებ გავაცნობიერე მხოლოდ მესამე დღეს მამა იანის დახმარებით. 16 აგვისტოს ვარშავაში, „გვარდიის“ სტადიონზე გაიმართა მოწოდებულთა შეხვედრა, სადაც მთელი მსოფლიოდან დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ახალგაზრდა შეიკრიბა. სწორედ იმ დროს, როდესაც კარდინალმა იოსებ გლემპმა აღავლინა ლოცვა სულინმიდის მიმართ, მე ვიგრძენი მოწოდება, ავდექი და გამოვხატე სურვილი მღვდლად გახდომისა. მაშინ ვერ მივხვდი, როგორ მოხდა ეს ჩემს ცხოვრებაში, მე ხომ არასდროს მიფიქრია მღვდლობაზე, მა-



გრამ როდესაც მამა იანმა მკითხა, რა სთხოვე ღვთისმშობელს სამი დღის წინო, გამახსენდა ის ერთადერთი რამ, რაც ლოცვისას ვითხოვე. მამა იანის პასუხი კი ასეთი იყო: ხედავ, ღმერთს როგორ უყვარხარ, რომ შენი ლოცვა მალევე შეისმინა; ის ქართველი კათოლიკე მღვდელი, რომლის შესახებაც სთხოვე, შენ იქნები, რადგანაც შენ ამოგარჩია ღმერთმა. ბედნიერი მღვდელი იქნები, თუ ამ ხმას გაჰყვებიო.

1991 წლის ოქტომბერში დავიწყე სწავლა ვარშავის არქიეპარქიულ, მისიონერულ საერთაშორისო სასულიერო სემინარიაში „რედემპტორის მატერ“ და 1999 წლის 29 მაისს მართლაც გავხდი პირველი ქართველი კათოლიკე მღვდელი. დღეს უფლის მადლიერი ვარ ესოდენ დიდი მადლის მონიჭებისათვის.

გაიხსენეთ ყველაზე ლამაზი მომენტი ამ ცდახუთი წლის განმავლობაში, რისთვისაც მადლობას გადაუხდიდით უფალს.

მამა პავლე დილი: ჩემთვის რთულია ამოვარჩიო ერთი კონკრეტული მომენტი, რომლისთვისაც მადლიერი ვარ უფლისა. საოცრად ვგრძნობ თავს, როდესაც ზიარებას ვიღებ ხელში და ვამბობ: „მიიღეთ და ჭამეთ ამისაგან ყოველთა, რამეთუ ესე არს ხორცი ჩემი“. ბედნიერი ვარ, როდესაც მონანიების საიდუმლოს აღსრულებისას წარმოვთქვამ: „და მე მოგიტევებ



ცოდვას მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით". ცრემლი მადგება თვალზე, როდესაც ვხედავ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს, რომლებიც ღიმილით გამოდიან ჩვენი ორდენის სარეაბილიტაციო ცენტრებიდან. ბედნიერი ვარ, როდესაც პატიებას ვიღებ ღმერთისგან ალსარების საიდუმლოს მეშვეობით. მადლობელი ვარ ღვთის სიკეთისათვის, რომელსაც შემიძლია ყოველდღე შევეხო.

მამა ზურაბ კაკაჩიშვილი: ჩემთვის რთულია გამოვყო რომელიმე მოვლენა. პირველ რიგში, ალბათ ვიტყოდი, რასაც ვგრძნობ ყოველი საიდუმლოს შესრულებისას. ღმერთი მენდობა, რომ მისი სახელით აღვასრულო საიდუმლოებანი. ამიტომ ვგრძნობ, როგორ ძალიან ვუყვარვარ მას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვხედავ სააღმარებლოდან გამოსულ მორწმუნებს, სიხარულისაგან ცრემლმორეულსა და კმაყოფილს. ვინ ვარ მე, რომ ღმერთი „მიყენებს“ ამ ადამიანების გასაბედნიერებლად?

რას ფიქრობთ კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობაზე საქართველოში?

მამა პავლე დილი: მთელი ჩემი 25-წლიანი მღვდლური ცხოვრება დაკავშირებულია საქართველოს ეკლესიასთან. ეს არის ეკლესია, რომელსაც, მსგავსად მსოფლიო ეკლესიისა, აქვს თავისი ღირსება და პრობლემები. დადებითი თვისებებია: მგრძნობელობა და ყველა

ადამიანის ღირსების პატივისცემა, მეგობრული ატმოსფერო, გულთბილი ურთიერთობები სამღვდელოებასა და მორწმუნებებს შორის. პრობლემები დაკავშირებულია ადამიანის სისუსტესთან, რომელიც იწვევს იმას, რომ ზოგ შემთხვევაში ინდივიდუალიზმი სძლევს სინოდალობას. ამ პრობლემების მიუხედავად, ეს არის ეკლესია, რომელიც ძალიან მიყვარს და რომელმაც ჩამომაყალიბა როგორც მღვდელი.

მამა ზურაბ კაკაჩიშვილი: საბჭოთა პერიოდის დასრულების შემდეგ კათოლიკე ეკლესიამ დაიწყო აღორძინება და განვითარება. გარკვეული პერიოდი ჰქონდა განვითარებისა და აღმასვლის წლები, ამჟამად კი თითქოს შენელდა წინსვლის ეს ტემპი. ხანდახან კი წარმოდგენა მექმნება, თითქოს აღარ ვითარდება და ერთ ადგილზე დგას. იმედი ვიქონიოთ, კათოლიკე ეკლესია საქართველოში მუდამ წინ ივლის.

რა შეიძლება იყოს თქვენი გზავნილი ჩვენი კათოლიკური საკრებულოების ახალგაზრდებისათვის?

მამა პავლე დილი: მინდა ვუთხრა საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდებს, რომ ჰქონდეთ გახსნილი გული უფალ იესოს ხმის მოსასმენად. ეს არის ჩუმი და, ამავდროულად, მკაფიო ხმა. უფალ იესოს სურს მხოლოდ თქვენი სიკეთე და მზად არის ყველა მსხვერპლისთვის თქვენი მარადიული ბედნიერების უზრუნველსაყოფად. დაუმეგობრდით მას. ნება მიეცით მის სიყვარულს, აავსოს თქვენი გული.

მამა ზურაბ კაკაჩიშვილი: კარგად დაიმახსოვრე: ღმერთს ძალიან უყვარხარ, იყავი მადლიერი მის მიმართ ყველაფრისათვის, რაც მოუცია დღემდე და მომავალში კიდევ მოგცემს. ბევრი ილოცე, რომ შეძლო ამოცნობა იმ ნიშნებისა, რომლითაც ღმერთი გელაპარაკება ყოველდღე-და თუ ისე მოხდა, რომ იგრძენი, ან მოისმინე შინაგანი ხმა ღვთისაგან, რომელიც გეძახის, რომ გაჰყევ მას, რათა მომავალში გახდე მღვდელი ან მონაზონი, უკან არ დაიხიო, პირიქით, მიენდე მოსიყვარულე მამას და სიხარულით გაჰყევი მის ხმას, რადგან ღმერთს ამით სურს ჯერ შენ გაგხადოს ყველაზე ბედნიერი, რათა მომავალში, შენი მოწოდებიდან გამომდინარე, მრავალი გულგატებილი, იმედგაცრუებული და ურწმუნო ადამიანი გააბედნიერო.



სამონასთო პერძები პვერები ხილის შიგთავსით

საუკუნეთა მანძილზე კვების რაციონი იცვლებოდა სხვადასხვა თრდენსა და რეგიონში. გარდა ამისა, მენიუ დამოკიდებული იყო დღესასწაულებსა და წელიწადის დროზე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, ნებისმიერი სამონასტრო კვების რაციონი ჩაფიქრებულია, როგორც მარხვისა და თავშეკავების სისტემა. ეს შეიძლება გამოიხატოს რაციონს სიმწირეში, რაც გულისხმობს კვირაში სამჯერ პურსა და წყალზე ყოფნას, უბრალო და ერთფეროვანი საკვების მიღებას, ცხიმიანი კერძებისა და ხორცის სრულ უარყოფას, საუზმეს, რომელიც არღვევს მარხვას, ან დღეში მხოლოდ ერთხელ კვებას. შესაძლებელია მსუბუქი დესერტის მირთმევა.

ინგრედიენტები:

- 500 გრ ფევილი
- 2 კვერცხის გული
- 1 ჩაის ჭიქა ნელთბილი წყალი
- ლელვი, ქიშმიში, მსხალი, ვაშლი, ფინიკი, ნუში

არაზოგება:

თუ არ არის მარხვის პერიოდი, ცომი შეიძლება მომზადდეს კვერცხით. მარხვის დროს, კვერცხის ნაცვლად, ცომი მზადდება ნუშით. გაცერით ფქვილი, შუა ადგილას ჩააღრმავეთ, ჩაასხით შიგ ათქვეფილი კვერცხის გული და ნელთბილი წყალი. კარგად აურიეთ კოვზით, ზილეთ ხელით მანამ, სანამ ცომი არ გახდება ელასტიკური.

ლელვი, ქიშმიში, მსხალი, ვაშლი, ფინიკი და ნუში გახეხეთ, მიღებულ მასას დაამატეთ კარგი სანელებლები; ცომი მოათავსეთ მაგიდაზე და გააბრტყელეთ; დაჭერით რამდენიმე ნაწილად, ისე, რომ სიგრძით იყოს ხელისგულისოდენა და სიგანით კი - სამი თითისა; შემდეგ ცომის ერთ მხარეს წაუსვით ცხიმი; თანაბრად გაყოფილ კვერებზე მოათავსეთ შიგთავსი, გადაკეცეთ შუაზე და შეაერთეთ ბოლოები; მოხარშეთ სუფთა წყალში; შემდეგ კი შებრანეთ ტაფაზე.

ინფორმაცია

მემვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი - კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში

"კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში"

მდგრადი მინდა ქათევან დადოფლის მონაშობის 400 წლისთავს

25-26 03 2024 | 2024

JUNE 25-26, 2024

"Catholic Heritage in Georgia"

Dedicated to the 400th anniversary of the
martyrdom of Saint Ketevan Queen

მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი
7th International Symposium

Deadline: 10th April



VENUE: SULKHAN-SABA ORBELIANI UNIVERSITY

მიმდინარე ნლის 25-26 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უკვე მეშვიდედ უმასპინძლებს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმს - „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. ნლევანდელი სიმპოზიუმი წმიდა ქეთევან დედოფლის მონაშეობის 400 და დაბადებიდან 450 წლისთავს ეძღვნება. წმიდა მონამე ქეთევან დედოფლის, როგორც ახალი დროის ქრისტიან მონამეს, გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში და, ასევე, კათოლიკე ეკლესიის ისტორიაში. სწორედ კათოლიკე მამების ღვანლით, წმიდა ქეთავანის მონაშეობიდან სულ რამდენიმე წელიწადში, მისი სახელი ცნობილი გახდა მთელ კათოლიკურ სამყაროში და თავად საქართველოშიც, ამ კათოლიკე მამებმა ჩამოიტანეს მისი მონაშეობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები და მისი წმიდა

ნაწილებიც ჩამოაბრძანეს.

საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარების იდეას 2017 წელს ჩაეყარა საფუძველი და ის საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესია-სთან არსებული კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისიის ეგიდით ტარდება, უშუალო მასპინძლად სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი გვევლინება. ნლევანდელ სიმპოზიუმში თანამონანილეობის სურვილი გამოთქვა საქართველოში მოქმედმა წმიდა ქეთევან დედოფლის საზოგადოებამაც.

იმ დადებითი შედეგებიდან, რაც კათოლიკე ეკლესიის მხრიდან საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის კვლევების ხელშეწყობას მოჰყვა, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ამ მიმართულებით მომუშავე მეცნიერ-მკვლევართა სტიმულირება და მათი კვლევების საზოგადოების

06 ვერამაცია

ფართო წრეებისათვის გაცნობის საშუალება; ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სიმპოზიუმზე წარმოდგენილი ნაშრომები ბეჭდური კრებულების სახით გამოიცემა. ამჟამად უკვე გამოცემულია ხუთი კრებული, რომელებიც დღეისათვის ყველაზე საუკეთესო და სანდო წყაროებს წარმოადგენენ საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის, განსაკუთრებით კი, ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიმპოზიუმებმა ერთმანეთთან დაახლოვა საქართველოში კათოლიკური თემატიკის კვლევაში ჩაბმული მეცნიერები, თავის მხრივ, ამ მეცნიერებსა და მკვლევრებს საშუალება მიეცათ, უშუალოდ გაცნობოდნენ ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებს, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს მათ მომავალი კვლევების ობიექტურად წარმართვაში, დაეხმარება სამეცნიერო წყაროების მოძებნასა და დაზუსტებაში. ამრიგად, საორგანიზაციო კომისია ერთგვარი კოორდინატორის როლსაც ასრულებს კათოლიკე ეკლესიის ისტო-

რიით დაინტერესებულ მეცნიერთათვის. დაბოლოს, ყველაზე განსაკუთრებული და, ვიტყოდი, სასწაულებრივი ამბავიც გახლავთ ამ სამეცნიერო სიმპოზიუმის ისტორიაში, რომ სწორედ პირველი სიმპოზიუმის შედეგად ხელახლა მოხდა XIV საუკუნეში ინდოეთში ფრანცისკელ ძმებთან ერთად მოწამებრივად აღსრულებული თბილისელი ახალგაზრდის, დემეტრეს ისტორიის გაცოცხლება. ამჟამად კი, როგორც ვიცით, უკვე სპეციალური ტრიბუნალიც შეიქმნა დემეტრე თბილელის ნეტარად შერაცხვასთან დაკავშირებით. ასე რომ, საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლა, რასაც ადგილობრივი კათოლიკე ეკლესია უწევს კოორდინაციას, სწორი მიმართულებით ვითარდება და თავისი არსებობის მცირე დროის მანძილზე საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობს. ჩვენი უურნალის სარედაქციო კომისიის სახელით კი წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებთ მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმს და მის მონაწილეებს.

სუმბარ ბარდაველიძე

განსვენება საუკუნო მიანიშა ეთ, უფალო!



ანა აზერაშვილი
* 01. 04. 1939, არალი
† 13. 03. 2024, არალი



გელარ გერაბეგვიშვილი
* 23. 09. 1950, უდე
† 14. 03. 2024, უდე



ანონ გალასაშვილი
* 09. 06. 1938, უდე
† 18. 03. 2024, უდე



ნინო აზერაშვილი
* 02. 12. 1924, არალი
† 14. 04. 2024, არალი



სვეტლანა ვოსკანიან-გუბაშვილი
* 15. 10. 1940, ახალქალაქი
† 16. 04. 2024, აბასიუმანი



მარი (გული) განველოვანი
* 02. 04. 1949, ვალე
† 23. 04. 2024, ვალე



შემანა-ლარეაზავარი
* 02. 02. 1930, ასპინძა
† 25. 04. 2024, ასპინძა



თავების გოზალიშვილი
* 02. 01. 1961, ვალე
† 28. 04. 2024, ვალე



ავტონ ვაიძეგვიშვილი
* 25. 05. 1952, არალი
† 30. 04. 2024, არალი



რაფაელ (ავაგარი) გოზალიშვილი
* 04. 12. 1942, ვალე
† 04. 05. 2024, ვალე



ივანე ზაზაშვილი
* 20. 08. 1945, არალი
† 13. 05. 2024, რუსთავი



თამარა ჩიტაშვილი
* 03. 02. 1957, ვალე
† 13. 05. 2024, ვალე

8 ივნისი
2024

ოჯახების ზეიმი

ლოცვის
ძალა

გინვევთ ყველას,
ერთად ვიზეიმოთ ოჯახის ფლე!



ჩატარების ადგილი: ნეროვანი
დაწყება: 10:30სთ. დასრულება: 17:00სთ.
მონანიშვნების მსურველებმა მიმართონ თავიანთი
საკრებულოს მოძღვარის,
დაგვიკავშირდით: T. (0431) 245675 . 599933251

